15-18 სექტემბერი, 1993 წ.
№ 68 (10 856)
● ფასი 100 კუპონი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვე საქართველოს!



● სად იყო, ვინ იფიქრებდა?!

● ვაა, როგორც ადრე ჭიდაობაში...

გაოცება ყურადღებას იმსახურებს სანაცვლოდ, სასიამოვნოდ გაოცება — ყურადღებასაც, სიმპათიასაც, მადლიერებასაც.

ეს ბოლო ხანია, ქართველმა მოკრივეებმა სწორედ ამ საერთოდაც უიშვიათეს და ჩვენში ხომ ლამის სულაც გაუჩინარებულ გრძნობას — სასიამოვნოდ გაოცებას შეგვაჩვიეს.

არადა, პარადოქსია მართლაც: სწორედ იმ დროს „გამოილეს ხელი", როცა ჩვენმა ამჟამინდელმა გაუსაძლისმა ყოფამ ბევრი რამ, სრულიად ელემენტარულიც კი, მეტი რომ აღარ შეიძლება, ისე დაანგრია და მოშალა. და ყოველივე ამას ბევრიც ემსხვერპლა — ცხადია, სპორტის სახეობებსა და სპორტსმენებს ვგულისხმობთ უპირველესად.

მოკრივეები კი... ღმერთმა ქნას, მოცლა არ გვქონოდეს იმნაირ მიზეზთა საკვლევად, ამა თუ იმ საქმეს მათსავით სასიკეთოდ რომ შემოგვატრიალებინებს. ალალადაც ვაღიარებთ: გვაჯობა ჩვენი კრივის საძმომ—ერთობ მოულოდნელად, ერთობ მცირე დროში წარმატებათა ისეთი სერია „დაგვაყარა", გონს მოსვლა ვერ მოვასწარით და, ქება კი, იცოცხლეთ, არ დაგვიკლია, მაგრამ ხეირიანი მადლობა ჯერაც ჩვენზეა. კვირას ბურსაში დამთავრებულ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატის მერე კი „მეტის მოთმენა აღარ შეიძლება" — ულრმესი მადლობა მათ, ვის მხრებსაც ქართული კრივის აღზევების „გარეთ ატლასის" ყოველდღიური ჯაფის ხორკლიანი სარჩულის მწარე კვალი აჩნევია.

„ვაა, როგორც ადრე ჭიდაობაში!" — დღეს ხშირად გაიგონებთ ამ ფრაზას, ბურსაში ქართველ მოკრივეთა გამოსვლაზე მოსაუბრე გულშემატკივრებს თუ მიუგდებთ ყურს. მართლაც ნიშანდობლივია ეს ალალად, გულშემატკივრულად ნათქვამი კომპლიმენტი — სპორტის ქომაგს მიუჩნევია, რომ კრივიც, ჭიდაობასავით, „ჩვენი" სახეობა ხდება. კარგი მოკრივე მართლაც საკმაოდ ჩამოგვეთვლება, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე „დახვეტილი" ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლები სად იყო, ვინ იფიქრებდა...

12 სექტემბერი. ბურსა (თურქეთი). მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრათა დღე.

91 კგ. გიორგი კანდელაკი — ჰოლანდიელი პეტერ დონდიეგო. მოგეხსენებათ, დავით კვაჭაძის მერე ევროპის ჩემპიონი არ გვყოლია, და აი, როგორც იქნა, მემკვიდრეც გამოჩნდა. გიორგი მარტო ტიტულით კი არა, სტილითაც მიჰგავს „დიდ წინაპარს" (ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ გახლავთ და ამ საქმეში, ცხადია, თავად დავით კვაჭაძის „ხელი ურევია") — კლასიკური ყაიდის მოკრივეა, რინგზე არ „პიკონობს" (აქაოდა პეპელასავით დავფარფატებ, კრაზანასავით ვინესტრებიო), არ „ჩხუბობს" — არ უყვარს დარტყმების გაცვლა-გამოცვლა, შეუვალი დაცვითაა შეჯავშნული და მოულოდნელი, ზუსტი დარტყმებით აგროვებს ქულებს. აკი ბევრიც უარა გარშემო ჰოლანდიელმა, „დამრტყმელის" ტიპის მოკრივემ, რომელმაც მანამდე ყველა ბრძოლა ნოკაუტით მოიგო, მაგრამ ვარიანელ მოკრივესთან ვერას გახდა და ქულათა დიდი სხვაობით დამარცხდა.

57 კგ. რამაზ ფალიანს უდავოდ ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე შეხვდა ფინალში — ბულგარელი ტოდოროვი მართლაც უმაღლესი კლასის, უტექნიკურესი, ფაქტობრივად, მოუხელთებელი მეტოქეა. ეტყობოდა, ფსიქოლოგიურადაც ბრწყინვალედ იყო მომზადებული და მისი მჯობნი ნამდვილად არავინ იყო. ფალიანის ევროპული „ვერცხლი" კი მის უკვე „დაღვინებულ" ოსტატობაზე მეტყველებს და სამომავლო წარმატებათა საწინდარიც გახლავთ.

+91 კგ. „ზურიკ, ერთი დარტყმა, ერთი, ქვემოდან" — ისმოდა ტელეეთერში ფოთელ ზურაბ სარსანიას მწვრთნელის განწირული ხმა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მოხდა ეს და ზურაბი ვერცხლს „დაჯაბულდა" — 1:2 დათმო ბულგარელ რუსინოვთან. არადა, რომ მოეგო, საქართველოს ნაკრები გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილს დაიკავებდა, თუმცა ამ ცოტა ხნის წინ განა შეგვეძლო გვეოცნება მეხუთე ადგილზე, რომელიც მართლაც რომ ძლიერთა ამა ქვეყნისათა კომპანიაში დავიკავეთ რუსეთის, ბულგარეთის, გერმანიისა და თურქეთის შემდეგ?!

ფინალამდე კი ბრინჯაოს ჯილდო მოიპოვა ფოთელმა პაატა გვასალიამ, რომელიც მცირე უპირატესობით დამარცხდა პოლონეთის წარმომადგენელთან.

სურათებზე: გიორგი კანდელაკი (ზევით), ქვევით. მარცხნიდან — რამაზ ფალიანი, ზურაბ სარსანია, პაატა გვასალია. ალექსანდრე კოტრიკაძის ფოტოები.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც გამორჩეული რეკორდი

მას შემდეგ, რაც ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსნობის მწვრთნელები სამუშაოდ ჩინეთში გადავიდნენ, ამ ქვეყნის სპორტსმენებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს როგორც შინ, ისე საერთაშორისო სარბიელზე. მაგრამ მათ შორისაც აღმოჩნდა ერთი გამორჩეული მძლეოსანი ქალი, რომელმაც სასიამოვნოდ განაცვიფრა მთელი სპორტული სამყარო. ეს გახლავთ ვან ძინ ცი, რომელმაც ამ დღეებში 10.000 მეტრი გაირბინა 29. 31. 80-ში.

სხვა შემთხვევაში უბრალოდ ვიტყოდით, რომ ჩინელმა სპორტსმენმა გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი. მაგრამ რეკორდიც არის და რეკორდიც — ვან ძინ ცის შედეგი 42 წამით აღემატება ძველ მსოფლიო მიღწევას, რაც ამ მორბენლის უდიდეს პოტენციაზე მეტყველებს.

და კიდევ ერთი ფაქტი შედარებისათვის: ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულმა ეთიოპიელმა დერართუ ტულუმ ამ დისტანციაზე რეზნაში 31. 06, 02 აჩვენა. გახსოვთ ალბათ, რომ მაშინ ამ შედეგს განიხილავდნენ, როგორც მიღწევას.

ექვსი მოჭიდავით

16-19 სექტემბერს სტოკჰოლმში (შვეცია) ჩაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. საქართველოს გუნდი ამ პრესტიჟულ ტურნირში ექვსი ათლეტით იასპარეზებს: 48 კგ. გელა პაპაშვილი, 57 კგ. დიმიტრი მულაძე, 62 კგ. აკაკი ჩაჩუა, 74 კგ. გიორგი ჯინჭველაშვილი, 82 კგ. შეგი დარჩია, 90 კგ. თენგიზ თედორაძე. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელია შეგი დარჩია. ჩვენი ვარაუდით, ამ ათლეტთაგან ორმა მაინც მედალი უნდა მოიპოვოს.

• • •

შვეციის დედაქალაქს გაემგზავრა რუსეთის ნაკრებიც, რომლის ღირსებას 90 კგ-ში დაიცავს ბარსელონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, ყოფილი ქუთაისელი გოგი კოღუაშვილი. როგორც რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მიხეილ მამიაშვილმა განაცხადა, სტოკჰოლმში უფრო ძნელი იქნება წარმატების მოპოვება, ვიდრე ოთხი თვის წინ სტამბულში ევროპის პირველობაზე (იქ. როგორც მოგეხსენებათ, რუსეთის გუნდმა 5 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს ჯილდო დაისაკუთრა). მამიაშვილმა ჩემპიონატის ფავორიტთა შორის დაასახელა შვეციის, ფინეთის, გერმანიის, ბულგარეთის, აშშ-ის, კორეის, აგრეთვე, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მოჭიდავეები.

● **პარიზი.** დაძაბულად მიმდინარეობს მნიშვნელობით მეორე მრავალდღიანი ველორბოლა საფრანგეთში — „ტურ დე ლავენირი". მეშვიდე ეტაპი, რომლის სიგრძე 169,5 კილომეტრი იყო, მოიგო ჰოლანდიელმა ლეონ ვან ბონმა. დისტანცია მან 3:49. 48-ში დაფარა. ასეთივე დრო ჰქონდა კიდევ რამდენიმე ველოსიპედისტს. შვიდი ეტაპის ჯამში რბოლას ლიდერობს ფრანგი თომას დავიუ — 21:56. 15. მას 2 წამით ჩამორჩება ასევე ფრანგი ფრანსუა სიმონი.

● **ბუქარესტი.** ჩოგბურთში აშშ-ის ღია ჩემპიონატის ბევრი მონაწილე ამერიკიდან პირდაპირ ევროპას ჩაფრინდა და რუმინეთის ღია ჩემპიონატში ჩაება. მათგან ოთხმა წარმატებით განვლო პირველი წრე და შემდგომ ეტაპში თამაშის უფლება მოიპოვა. ესენი არიან: ანდრეი ჩერკასოვი (რუსეთი), ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი), მარსელო ფილიპინი (ურუგვაი) და ანდრეა გაუდენცი (იტალია).



რევაზ ძოძუაშვილი — „მეტალურგში"

გურამ ქოჩიაშვილის ნაცვლად რუსთავის „მეტალურგის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა თბილისის „დინამოს" ყოფილი თავკაცი რევაზ ძოძუაშვილი.

მილოცვა

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს გამოჩენილ ქართველ ფალავანს ზარბეგ ბერიაშვილს.

შეფა და შემოდგომის სამწუხარო პარალელები

1992 წლის 1 ოქტომბერი უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალების განმეორებითი მატჩების დღე იყო. იტალიის „ტორინომ", რომელსაც პირველი თამაში შვეციის „ნორჩეპინგთან" წაგებული ჰქონდა მინიმალური ანგარიშით (1:0), შინ დამაჯერებლად მოუგო მეტოქეს (3:0) და გათამაშების შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ეს იყო რიგითი, არაფრით გამორჩეული მატჩი, რომელიც მოგვიანებით, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ყურადღების ცენტრში მოექცა. შეხვედრას საჯიდა რუსეთის არბიტრთა ბრიგადა ალექსი სპირინის მეთაურობით.

1993 წლის იანვრის დამდეგს რუსეთის ფეხბურთის კავშირში დეპეშა მოვიდა იტალიიდან. „ტორინოს" ხელმძღვანელობა სპირინს საკმაოდ ზრდილობიანი ფორმით სთხოვდა 3952 დოლარის დაბრუნებას. შეიქმნა ერთობ უჩვეულო სიტუაცია, რომელიც საქმეში გარკვევასა და დაზუსტებას მოითხოვდა. სწორედ ამ მიზნით გაზეთ „სპორტ-ექსპრესის" კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა რუსეთის ფეხბურთის არბიტრთა ასოციაციის პრეზიდენტს ედუარდ შკლოვსკის, რომელიც თანამდებობრივად იყო ვალდებული გარკვეული ყოფილიყო საქმის ვითარებაში. გთავაზობთ ამ საუბრის იმ ნაწილს, რომელიც ჩვენთვის საინტერესო თემას ეხება:

„სპორტ-ექსპრესი"
1993 წ. 11 იანვარი
ორშაბათი № 4 (858)

წითელი ბარათი ალექსი სპირინს?

— საიდან ასეთი თანხა და რა შუაშია იტალიის ფედერაცია?

— როგორც გაირკვა, სპირინს „ტორინოსგან" მიუღია მსაჯთა მთელი ბრიგადისთვის განკუთვნილი ავიაბილეთების კომპენსაცია. ამის გაკეთება კი აკრძალულია. უეფას სპეციალურ მემორანდუმში ჩაწერილია, რომ მსაჯებს უფლება არა აქვთ აწარმოონ [illegible] ანგარიშები კლუბებთან. „ტორინომ", ბუნებრივია, თავისი ეროვნული ფედერაციის [illegible] უეფას მოსთხოვა [illegible] უკან დაბრუნება.

— ვის უნდა [illegible] ბილეთების ფასი?

— უეფას [illegible] მიხედვით და არა „ტორინოსთვის" უნდა წარედგინა [illegible], უეფა კი ამ თანხას რუსეთის ფეხბურთის კავშირის ანგარიშზე გადარიცხავდა.

— რამდენად ხელსაყრელია საერთაშორისო მატჩების მსაჯობა?

— ყოველი არბიტრი, იმის მიუხედავად, მთავარია იგი, გვერდითი თუ სარეზერვო, დღიური სამივლინებო ანაზღაურების სახით იღებს 175 შვეიცარიულ ფრანკს. სასტუმროსა და მგზავრობის ხარჯებსაც საერთაშორისო ფედერაცია კისრულობს.

დააბრუნა თუ არა ფული სპირინმა? ასეთი შეკითხვით მიმართა გაზეთის კორესპონდენტმა რუსეთის ფეხბურთის არბიტრთა ასოციაციის პასუხისმგებელ მდივანს ბორის ივანოვს.

— რა აქმა უნდა, დააბრ მაგრამ მისი საქციელი უკვე

იხ. გვ. 4

მატჩები მსოფლიო პირველობაზე

ეს შეჯიბრებები განსხვავებული რეგლამენტით მიმდინარეობს. პროფესიონალთა ასოციაციის ეგიდით მოთამაშე კასპაროვი და შორტი კვირაში სამჯერ ხვდებიან ერთმანეთს. კარპოვი და ტიმანი (ფიდეს ეგიდით) — კვირაში ოთხჯერ. გუშინ ორივე წყვილს მორიგი პარტიები უნდა ეთამაშა. კარპოვ-ტიმანის შეხვედრათა განრიგი ასეთია: 17, 18, 20, 22, 23, 25 სექტემბერი — ამსტერდამი, შემდეგ კი ომანი — 3,4, 6, 8, 10, 12, 15, 17, 18, 21, 23, 25 ოქტომბერი. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შეხვედრები მოეწყობა 27, 28, 30 და 31 ოქტომბერს. რაც შეეხება კასპაროვსა და შორტს, ისინი თამაშობენ სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით.

კარპოვ-ტიმანის მატჩში ხუთი პარტიის შემდეგ ანგარიშია 2,5:2,5, ლონდონში კი, სადაც კასპაროვი და შორტი არკვევენ ურთიერთობას, მსოფლიოს ჩემპიონმა მორიგი ქულა ჩაიწერა — მესამე პარტიაში (თეთრებით) კარგად გამოიყენა მეტოქის აჩქარება და ანგარიში გახდა 2,5-0,5 მის სასარგებლოდ.

ჭადრაკი

ბოტვინიკი ძველ დროს მისტირის

მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს ჭადრაკში მიხეილ ბოტვინიკს ახლახან 82 წელი შეუსრულდა. საინტერესოა, რას ფიქრობს თანამედროვე ჭადრაკზე უხუცესი დიდოსტატი, რომელიც თავის დროზე ანატოლი კარპოვისა და გარი კასპაროვის მასწავლებელი იყო.

— მე ყოფილი მოჭადრაკე ვარ და არ მინდა საკუთარი აზრი თავს მოგახვიოთ, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენი უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს ის, რომ თავი მოვუყაროთ ყველაფერს, რაც კი დავკარგეთ, ჩვენ ერთიანი საჭადრაკო საზოგადოება გვქონდა და ამან დიდი ნაყოფი გამოიღო. 1948 წლიდან მოყოლებული მხოლოდ სამი წლით ფლობდა მსოფლიო ჩემპიონის წოდებას სხვა ქვეყნის მოჭადრაკე, ადრეც მხოლოდ რუსეთში იყვნენ ძლიერი მოჭადრაკეები, შემდეგ მათი ძალისანი სხვა რესპუბლიკებშიც გამოჩნდნენ. რუსეთს ვაჟთა შორის ოთხი მსოფლიო ჩემპიონი ჰყავდა, თითო — საქართველოს (ტ. პეტროსიანი), აზერბაიჯანსა და ლატვიას. უნდა შევეცადოთ, აღვადგინოთ ადრინდელი წარმატებები, განვაახლოთ ჩვენი შეჯიბრებების კალენდარი, მაშინ ახალი ტალანტებიც გამოჩნდებიან.

ავიღოთ ტურნირი ლინარესში, რომელიც თავს უყრის მსოფლიოში საუკეთესო რეიტინგის მქონე 14 დიდოსტატს. მათგან 11, ასე თუ ისე, ყოფილ საბჭოთა კავშირთან არის დაკავშირებული. პირველი 5 გამარჯვებულიდან ოთხი (მხოლოდ ანანდი „ჩაიჩხირა" მათ შორის) ჩვენს საჭადრაკო სკოლაში აღიზარდა. ამ სკოლის საქმიანობა ძალზე ნაყოფიერი იყო, ამას რეკლამისთვის კი არ მოგახსენებთ, არამედ მსურს გითხრათ, რომ მოჭადრაკეთა აღზრდის სწორ მეთოდებს ვიყენებდით. და თუ გვსურს კვლავაც დავაწინაუროთ ძლიერ დიდოსტატთა ახალი თაობები, სწორედ ეს მეთოდი უნდა აღვადგინოთ...

მსოფლიო ჭადრაკში წესრიგი უნდა დამყარდეს. როცა ფიდე არ არსებობდა, თავისი წოდების სრული ბატონ-პატრონი მსოფლიო ჩემპიონი იყო. პირველი მსოფლიო ჩემპიონი სტეინიცი თავისთვის რაც შეიძლება ძლიერ მეტოქეებს ეძებდა, შემდეგ გამოჩნდა ლასკერი, რომელიც უკვე ძლიერებს კი არა, სუსტ მეტოქეებს არჩევდა, — ითამაშა იანოვსკისთან, შლეხტერთან, ტარაშთან, როცა დასუსტდა, ეშმაკურად აარიდა თავი ჩვენი საუკუნის დასაწყისის ყველაზე ძლიერ მოჭადრაკესთან რუბინშტეინთან შეხვედრას. ლასკერს თავისი მოსაზრებები ჰქონდა, ეს მისი ნება იყო, მაგრამ ექვსი თუ შვიდი წლის მანძილზე მსოფლიო პირველობაზე არავითარი მატჩი არ უთამაშია, სრულიადაც არ ჩქარობდა მატჩში შეხვედროდა კაპაბლანკას. როცა ალიოხინი მსოფლიო ჩემპიონი გახდა, იმის ნაცვლად, რომ განმეორებით შეხვედროდა კაპაბლანკას, ბოგოლიუბოვთან იოლი გასეირნება არჩია. როცა ფიდე შეიქმნა, ვითარება შეიცვალა.

... მინდა გაგაცნოთ ჩემი მოსაზრება. გარი კასპაროვი მაინცდამაინც არ მიისწრაფვის ძლიერ დიდოსტატებთან შესახვედრად. სხვა აზრისა რომ ყოფილიყო, არავითარ შემთხვევაში არ დახურავდა ნორჩ მოჭადრაკეთა უნიკალურ სკოლას, რომელიც მას მემკვიდრეობით გადაეცა, არც შეეცდებოდა ეთამაშა მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფიდეს ეგიდის გარეშე. იგი ცდილობს იმ მდგომარეობას დაუბრუნდეს, რაც 1948 წლამდე იყო, როცა მსოფლიო ჩემპიონს თავი ამ წოდების სრულ ბატონ-პატრონად მიაჩნდა და უძლიერეს მეტოქეს კი არ ეთამაშებოდა, არამედ იმას, ვინც მაქსიმალურ საპრიზო ფონდს უზრუნველყოფდა. ეს ტენდენცია ახლა ძნელი შესამჩნევი არ გახლავთ, ამიტომაც მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონის ნიჭისა და მისი სპორტული მიღწევებისადმი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვუთხრა: „მე ეს არ მომწონს". ვფიქრობ, ეს კასპაროვს ზიანს აყენებს; რადგან, თუ გინდა ძალა შეინარჩუნო და წინ წახვიდე, ძლიერ მეტოქეებს უნდა ეთამაშო. გარდა ამისა, ყოველივე ეს მსოფლიო ჭადრაკსაც ვნებს.

მოამზადა
გივი თორელმა.

გზის გამკვალავი

ალპინიზმში, სპორტის სხვა სახეობათაგან განსხვავებით, წინმავალი საკმაოდ „განტვირთული", უზურგჩანთოდ მიიწევს მწვერვალისკენ... მაგრამ ამით მას სავალი სულაც არ უადვილდება, რადგან გაცილებით რთული მისია აკისრია — საფეხურების ჭრა, რომლითაც დანარჩენები უფრო იოლად დასძლევენ სიმაღლეს.

სწორედ ასეთი წინმავალის მისია შეასრულა ჭაბუკმა თბილისელმა მხედარმა მურად ძიძიგურმა, რომელმაც 1953 წელს ქართველ მხედართაგან პირველმა მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება ცხენოსნობის კლასიკურ სახეობაში. ეს ნამდვილი გაელვება გახლდათ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა იმდროინდელი მოკრძალებული მაჩვენებლების ფონზე.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სპორტში მას არჩევანი არ ჰქონია, როგორც კი წამოჩიტდა, მჭიდროდ დაუკავშირდა ცხენოსნობას. სხვა გზა არც იყო, ვინ, თუ არა ძველი კავალერისტის, ცნობილი მწვრთნელის ევსეი ძიძიგურის ვაჟი უნდა გაჰყოლოდა მამის კვალს, რომელმაც იგი იმხანად თბილისში საკმაოდ ცნობილ „სპარტაკის" საჯინიბოში მიიყვანა. მისი მიღწევებიც სწორედ ამ კლუბს უკავშირდება. პირველი წარმატება, უფრო ზუსტად კი მისი, როგორც ცხენოსნის აღიარება, 1946 წელს მოხდა, როცა თბილისის რკინიგზის მეორე საშუალო სკოლის მეხუთეკლასელმა წარმატებით იასპარეზა (კონკურსგარეშე) მოსკოვში გამართულ საკავშირო პირველობაში ცხენ აპელსინით. ნორჩმა მხედარმა სწორედ მაშინ მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. ცხენოსნობის ძველ მოყვარულებს ახსოვთ ცნობილი ფოტოც, მარშალი ბუდიონი წარმატებას რომ ულოცავს თბილისელ მოსწავლეს, რომელიც თავის დროზე ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა. სამი წლის შემდეგ კი 15 წლის მხედარს ტოლი არ ჰყავდა საქართველოს პირველობაზე დაბრკოლებათა გადალახვაში. მან მომდევნო წლებშიც შეინარჩუნა უძლიერესის ტიტული, 1953 წელს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მურად ძიძიგურს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა. პირველს, ცხადია, შემდგომ სხვებიც მიჰყვნენ — 1957 წელს ოსტატები გახდნენ მისი თანაკლუბელები ალექსანდრე დგებუაძე და შოთა აფციაური.

თამაზ ქიქავა

სურათზე: მურად ძიძიგური.

ავტორის ფოტო.

ითამაშეთ რინგბოლი

იგი მინიკალათბურთის ნაირსახეობაა. თამაშობენ მრგვალ მოედანზე. 4 და 1,5 მეტრი რადიუსის ორი წრის ცენტრში აღიმართება 4-5-მეტრიანი ანძა, რომელზეც სხვადასხვა სიმაღლეზე — 3,5; 2,6; 2,15 მ (ეს დამოკიდებულია მოასპარეზეთა ასაკსა და ტექნიკურ მომზადებაზე) მაგრდება ორი სტანდარტული კალათი.

დიდი წრე წარმოადგენს სათამაშო მოედანს, მცირე განკუთვნილია საჯარიმო ტყორცნებისთვის. შუა ხაზი სათამაშო მოედანს ყოფს ორ ზონად — ზურგის და მოწინავე. დიდ წრეზე გამოიყოფა თანაბარი მანძილით დაშორებული 15 სმ-იანი ნიშნულები, რომელთა სიგანე 5 სმ-ია.



რინგბოლის წესებით დრიბლინგი არ არის გათვალისწინებული. ამიტომ კალათბურთის ბურთის გარდა, თამაში შეიძლება ფრენბურთის, ფეხბურთის ან რეზინის — წყალბურთის ბურთითაც.

თამაშის წესები: თითოეულ გუნდში 6 მოთამაშეა — 2 მინდვრის და 4 შემაკავშირებელი. მინდვრის მოთამაშეებს მცველებისა და თავდამსხმელების როლები ეკისრებათ. ისინი სათამაშო მინდორზე უშუალოდ უტევენ მეტოქის კალათს. შემაკავშირებელნი არ სცილდებიან თავიანთ სექტორებს და მხოლოდ იღებენ ბურთს და თანაგუნდელ მინდვრის მოთამაშეებს აწვდიან მას.

თამაში შედგება სამი პერიოდისგან. თითოეული გრძელდება მანამდე, სანამ ერთ-ერთი მხარე ბურთს კალათში არ მოათავსებს. ამის შემდეგ ორივე გუნდის მინდვრის მოთამაშეები იკავებენ შემაკავშირებლების ადგილებს, ეს უკანასკნელნი კი მინდვრის მოთამაშეებად იქცევიან და ა. შ.

ტექნიკური ილეთი „პივოტი" — ბურთის მფლობელის განმეორებითი ნაბიჯები წინ, უკან, მარცხნივ, მარჯვნივ — თამაშის წესებით დასაშვებია, ოღონდ საყრდენი ფეხი არ უნდა მოწყდეს მიწას.

უბურთო მოთამაშეებს თავისუფლად შეუძლიათ იმოძრაონ მოედანზე.

მინდვრის მოთამაშემ ბურთის მიღებისთანავე იგი უნდა გადასცეს თავის შემაკავშირებელს, ეს უკანასკნელი კი ზუსტად აწვდის ბურთს მინდვრის ერთ-ერთ მოთამაშეს. მინდვრის მოთამაშეები ბურთს იღებენ მხოლოდ შემაკავშირებლებისგან, ისინი კი თანაგუნდელ მინდვრის მოთამაშეთაგან.

თამაში ჩერდება და ბურთი გადაეცემა მეტოქეთა გუნდს შემდეგი დარღვევების შემთხვევაში: 1. ბურთის მიღება-გადაცემისას შემაკავშირებელმა მოთამაშემ დააბიჯა ან გადაკვეთა მოედნის განმსაზღვრელი ან თავისი სექტორის ხაზი; 2. მინდვრის მოთამაშემ უშუალოდ მინდვრის მოთამაშისგან მიიღო ბურთი, ან შემაკავშირებელმა ასეთივე გზით მიიღო ბურთი; 3. მოთამაშე ხელით შეეხო ანძას; 4. მოიერიშემ საჯარიმო ზონაში დაჰყო 3 წამზე მეტხანს; 5. შემაკავშირებელმა მოთამაშემ 5 წამზე მეტხანს დააყოვნა თავისუფალი სროლა ან ბურთის შემოგდება; 6. განზრახ შეეხო მეტოქეს (ხელით შეაკავა, უბიძგა, ხელი ჰკრა, ხელებითა და ფეხებით ბლოკირება).

თამაშის წესებში გათვალისწინებულია აგრეთვე ე. წ. ზონის წესის შეტანა (მოიერიშე გუნდს უფლება არა აქვს, თავის ნახევარზე დააბრუნოს ბურთი).

უმცროსი ასაკის მოზარდებისთვის შეიძლება თამაში 1 მინდვრის მოთამაშით და 4 შემაკავშირებლით. ამ შემთხვევაში შეხვედრის ხანგრძლივობა 5 პერიოდია.

მკითხველი — გაზეთი

ნაგვიანევი ემანსიპაცია

ცნობილია, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი დიდხანს მხოლოდ მამაკაცებისგან შედგებოდა. როდის დაირღვა ტრადიცია და ვინ იყვნენ სოკის პირველი წევრები — მშვენიერთა სქესის წარმომადგენლები?

ლევან გოდერძიშვილი

თითქმის მთელი 90 წლის მანძილზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მამაკაცთა ორგანიზაცია იყო და მხოლოდ 1981 წელს სოკის ბადენ ბადენის სესიაზე საერთაშორისო ოლიმპიური ინსტანციის ხელმძღვანელ ორგანოში შეიყვანეს ორი ქალი — პირიე ჰეგმანი (ფინეთი) და ფლორ ისავა ფონსეკა (ვენესუელა). მომდევნო წელს სოკის წევრი გახდა მერი ელისონ გლენ-ჰაიგი (დიდი ბრიტანეთი).

პირიე ჰეგმანი ფინეთის მძლეოსანთა ნაკრების წევრი იყო. 1972 წელს პირველად მიიღო მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში (მიუნხენი) — 4X400 მეტრზე ესტაფეტაში. ოთხი წლის შემდეგ მონრეალში მეოთხე ადგილი დაიკავა 400 მეტრზე რბენაში. მოსკოვის თამაშებში 1980 წელს კი იმავე დისტანციაზე მეშვიდე იყო. ამის მერე ჰეგმანი შეჯიბრებებში აღარ გამოსულა, დაამთავრა ჰელსინკის უნივერსიტეტი და დაიწყო ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობა.

ფლორ ფონსეკა იყო ვენესუელის არაერთგზის ჩემპიონი ცხენოსნობაში. 1956 წელს მონაწილეობა მიიღო მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში. გატაცებული იყო ჩოგბურთითაც, არაერთხელ გაიმარჯვა ეროვნულ ჩემპიონატში. თავის ქვეყანაში საკმაოდ პოპულარულ მწერლად და ჟურნალისტად ითვლება, 1947 წლიდან ვენესუელის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრია.

ყოფილი მოფარიკავე მერი ელისონ გლენ-ჰაიგი დიდი ბრიტანეთის ღირსებას ორჯერ იცავდა ოლიმპიადებში — 1948 და 1960 წლებში. სოკის შემადგენლობაში არჩევამდე (1972 წ.) იყო ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის წევრი, 1975 წლიდან — ეროვნული სპორტული საბჭოს დირექტორი, აგრეთვე, სპორტსმენთა დახმარების ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.

ჰელენა სუკოვას ბენეფისი

ნიუ-იორკი. დამთავრდა აშშ-ის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. ვაჟებში, პირველი ადგილი დაიკავა პიტ სამპრასმა (აშშ), რომელმაც ფინალში ჩოგბურთის სამყაროში ნაკლებად ცნობილი ფრანგი სედრიკ პიოლინი დაამარცხა 6:4, 6:4, 6:3. ქალებში უძლიერესი იყო გერმანელი შტეფი გრაფი, რომელსაც არ გასჭირვებია გამარჯვება ჩეხ ჰელენა სუკოვასთან.

ჰელენა სუკოვა ამ ჩემპიონატში თავს ალბათ ბენეფიციანტად გრძნობს, ვინაიდან ორჯერ გამოიჩინა თავი წყვილთა თანრიგში. ჯერ არანტა სანჩეს-ვიკარიოსთან (ესპანეთი) ერთად დაამარცხა ამანდა კატცერ (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — ინეს გოროჩატეგუას (არგენტინა) დუეტი 6:4, 6:2, მერე კი ავსტრალიელ ტოდ ვუდბრიჯთან ერთად შერეულ წყვილთა ასპარეზობაშიც იმარჯვა — მოუგო მარტინა ნავრატილოვა (აშშ) — მარკ ვუდფორდის (ავსტრალია) წყვილს 6:3, 7:6.

როგორც ვიუწყებოდით, თბილისელი ლელა მესხი ერთეულთა შეჯიბრების მეორე წრის შემდეგ გამოეთიშა. წყვილთა თანრიგში კი ევგენია მანიუკოვასთან ერთად მეოთხედფინალში დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან (სანჩეს-ვიკარიო — ჰელენა სუკოვა).

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი

10 სექტემბერი, VIII ტური
აღმოსავლეთი ზონა

„დინამო" (თბილისი) — „მარნეული" (პიათურა) 7-2

„ერქვანი" (გურჯაანი) — „კახეთი" (თელავი) 2-2

„საპოვნელა" (თერჯოლა) — „მრეტები" (თბილისი) 4-0

„მარგვეთი" (ზესტაფონი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 3-0

„შევარდენი-1906" (თბილისი) — „დილა" (გორი) 1-0.

დასავლეთი ზონა

„კოლხეთი-1913" (ფოთი) — „გურია" (ლანჩხუთი) 2-1

„შუქურა" (ქობულეთი) — „მზიური" (გალი) 3-2

„ტორპედო" (ქუთაისი) — „ოდიში" (ზუგდიდი) 1-2

„სამტრედია" (სამტრედია) — „ბათუმი" (ბათუმი) 1-0

„სამგურალი" (წყალტუბო) — „ცხუმი" (სოხუმი) 1-3

მეორე ჯგუფი

11 სექტემბერი, IV ტური

აღმოსავლეთი ზონა

„რკონი" (კასპი) — „ერქვანი" „ხოოვეტი" (თბილისი) 3-1

„ჰაბუკიანი" (ჰაბუკიანი) — „მერანი-91" (თბილისი) 3-0

„თეთრი არწივი" (თბილისი) — „ანცი" (თბილისი) 0-2

„მირაჟი" (დედოფლისწყარო) — „მერანი-ბაჩო" (თბილისი) 1-1

„მესხეთი" (ახალციხე) — „დურუჯი" (ყვარელი) 2-1

„სიონი" (ბოლნისი) — „ეკობელა" (თბილისი) 1-2

„არმაზი" (მცხეთა) — „არაგვი" (დუშეთი) 3-0

დასავლეთი ზონა

„ბახმარო" (ჩოხატაური) — „კოლხეთი" (აბაშა) 2-2

„კახაბერი" (ხელვაჩაური) — „სულორი" (ვანი) 1-1

„უქიმერიონი" (ქუთაისი) — „ეგრისი" (სენაკი) 2-3

„ანაკო" (ოზურგეთი) — „იმერეთი" (ხონი) 2-0

ბორჯომი. ცენტრალური სტადიონი. „თორი" (ბორჯომი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 4-0. მსაჯები. ლ. რაზმაძე (გორი), ლ. კრიჭაშვილი, თ. გოცირიძე (ორივე — თბილისი).

„თორი": გოგალაძე, კურტანიძე, ზაჩიძე, ნეკერაშვილი, კობეხაშვილი, ნოზაძე, ფირცხალავა (გოჩაშვილი), ციცქიშვილი (ხვედელიანი), ციკოლია, ბერიძე, დენისკინი (გლუნჩაძე); „ბახტრიონი": ბეწუკელი, ხუბიაშვილი, ჭილაშვილი, მარტიაშვილი, მაყიშვილი (მამუჩარაშვილი), თიგიშვილი, ვალაშვილი, ჩეკურიშვილი, აფციაური, უძილაური, კუხიანიძე (ფეტვიაშვილი).

გოლები: ციკოლია — 2, ნოზაძე, ბერიძე.

სტუმრებმა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწიეს ბორჯომელებს ღირსეული მეტოქეობა, თუმცა ამ უკანასკნელთ მაინც შეეძლოთ ამ მონაკვეთში სულ ცოტა ორჯერ აელოთ კარი. ტაიმის ბოლოს, მაგალითად, ციკოლიამ ცარიელ კარში ერთი მეტრის მანძილიდან „მოახერხა" კარს ზემოთ ბურთის გაგზავნა.

მეორე ნახევარში მასპინძლებმა მკვეთრადაც უმატეს ტემპს და უფრო მიზანმიმართულადაც შეუტიეს მეტოქეს. „ბახტრიონი", ეტყობა, აშკარად მოუმზადებელია ფიზიკურად, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა მათი დიდი ანგარიშით დამარცხებაში.

მესამე ჯგუფი

10 სექტემბერი, I ტური

„იბერია" (თბილისი) — „ავაზა" (თბილისი) 2-1

„იმედი" (თბილისი) — „ვიქტორია" (თბილისი) 0-6

„ქიზიყი" (წნორი) — „შუამთა" (თელავი) 4-2

„მერანი" (თბილისი) — „ფხოვი" (სართიჭალა) 2-0

მუხრანი. მეურნეობის სტადიონი. „მუხნარი" (მუხრანი) — „ცხინვალი" (ცხინვალი) 3-2. მსაჯები: გ. ახკაროლდი (ქარელი), თ. გოცირიძე, ლ. კრიჭაშვილი (ორივე — თბილისი).

„მუხნარი": ზ. გავაკეთაშვილი, პავლიაშვილი, [illegible] რომანაშვილი, ტატუნაშვილი. დოლიძაშვილი, მოხიაშვილი, ზვ. გავაკეთაშვილი (ვეშაპიძე), კ. თორამაშვილი, გაბარაშვილი, ახანაშვილი, ალავიძე (სირბილაძე); „ცხინვალი": ქესანაშვილი, ბერუაშვილი, კახნიაშვილი, გ. რომელაშვილი, კეკელიშვილი (გაჩეჩილაძე), ტუღუში, მაისურაძე (ვახტანგაშვილი), პეპელიშვილი, ზ. რომელაშვილი, ნასუაშვილი, ფეხშველაშვილი.

გოლები: მოხიაშვილი, გაბარაშვილი, სირბილაძე, ფეხშველაშვილი — 2.

ორი თვის წინ ცხინვალელმა ლტოლვილებმა შესაშური ენთუზიაზმი და მონდომება გამოიჩინეს და შექმნეს საფეხბურთო კლუბი „ცხინვალი" (მთ. მწვრთნელი — მ. რომელაშვილი, გუნდის უფროსი — ზ. ნასუაშვილი, მწვრთნელი — თ. მინდიაშვილი), რომელსაც შეძლებისდაგვარად ეხმარებიან გორში განლაგებული ლტოლვილთა შტაბი და გორის საფეხბურთო კლუბი „ქართლი". როგორც „ცხინვალის" მესვეურებმა გვითხრეს, მათ დიდი იმედი აქვთ, რომ რეგიონის დიდი წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები მხარში ამოუდგებიან ახლად შექმნილ კლუბს და ფინანსურ დახმარებას გაუწევენ.

მუხრანელი გულშემატკივრები გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს და ტაშითვე გააცილეს ისინი. ცხინვალელებმა მართლაც რომ ტოლი არ დაუდეს მეტოქეს, მათ დიდი ხანი არ დასჭირვებიათ თამაშის დასაწყისში გაშვებული გოლის გასაქვითად, ხოლო მეორე ტაიმში დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ უფრო გამოცდილმა მუხრანელმა ფეხბურთელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და ზედიზედ ორი გოლიც გაიტანეს. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო სირბილაძის მიერ შემობრუნებით, „მაკრატელათი" გატანილი ულამაზესი გოლი, რომელიც ნებისმიერი რანგის მატჩს დაამშვენებდა.

ღია წერილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას

ქვეყანაში შექმნილი დღევანდელი რთული ვითარება ყველასათვის კარგად ცნობილია, ისიც ცნობილია, თუ რა სიძნელეების დაძლევით უხდება ფეხბურთის ფედერაციას და მსაჯთა ასოციაციას საქართველოს V ჩემპიონატის ჩატარება. ვითარება განსაკუთრებით შემაშფოთებლად დაიძაბა დასავლეთ საქართველოს რეგიონში, სადაც განუკითხაობამ კულმინაციას მიაღწია. საქმე იქამდე მივიდა, რომ მსაჯებს ფიზიკურად უსწორდებიან და იარაღით ემუქრებიან.

12 სექტემბერს ფოთში ადგილობრივი ფეხბურთელები ხვდებოდნენ ლანჩხუთის „გურიას". პირველი ნახევარი დამთავრდა ლანჩხუთელთა სასარგებლოდ 1-0. შესვენებაზე მსაჯებზე ზემოქმედება დაიწყეს მაყურებლებმა — გინებას და მუქარას, რომ თუ ფოთის გუნდი არ მოიგებდა, ისინი ცოცხლები არ დარჩებოდნენ, მოჰყვა მსაჯ ე. სილაგავას ფიზიკური შეურაცხყოფა (ყელში წაჭერა, ზელის გარტყმის მცდელობა და ა. შ.).

თამაშის მეორე ნახევრის დაწყება შეუძლებელი გახდა შექმნილი სიტუაციის გამო (სტადიონზე იყო მხოლოდ 2 მილიციელი). მსაჯები იძულებული გახდნენ ემსაჯათ მიკერძოებით, მასპინძელთა სასარგებლოდ. დაგვიანებით დაწყებული მეორე ტაიმი მათ ჩაატარეს შიშის ქვეშ. საბოლოოდ შეხვედრა მოიგო ფოთის გუნდმა— 2-1. ამის შემდეგ უკვე ლანჩხუთელი გულშემატკივრები ჩაებნენ „პაექრობაში", ახლა მათ წამოიწყეს იერიში მსაჯებზე.

ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, საჭიროა ქმედითი ღონისძიებების გატარება, ბოლო უნდა მოეღოს მსაჯებზე ძალდატანებით მასპინძელთა მოედნებზე ქულების მოპოვებას.

როგორც ხედავთ, მდგომარეობა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში ფრიად სერიოზული და საგანგაშოა. ამიტომაც მოგმართავთ ამ ღია წერილით, რათა დროულად მიიღოთ უკიდურესად მკაცრი ზომები ამგვარ უმსგავსობათა აღსაკვეთად და აიძულოთ ადგილობრივი ხელისუფალნი დაამყარონ წესრიგი თავიანთ სტადიონებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსაჯთა ასოციაცია ვერ უზრუნველყოფს კალენდარული მატჩების მომსახურებას, ბევრი მსაჯი უარს აცხადებს ზოგიერთ რეგიონში გამგზავრებაზე.

საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა ასოციაცია

მსოფლიო ჩემპიონატი

სამხრეთ ამერიკის ზონა. აქ, „ბ" ჯგუფში, გაიმართა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ორი შესარჩევი შეხვედრა: ურუგვაი — ბოლივია 2-1, ვენესუელა—ეკვადორი 2-1.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ბრაზილია	7	4	2	1	18-4	10
ბოლივია	7	5	0	2	21-10	10
ურუგვაი	7	4	2	1	10-5	10
ეკვადორი	7	1	2	4	6-6	4
ვენესუელა	8	1	0	7	4-34	2

ვადები დადგინდა

არგენტინისა და ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციები შეთანხმდნენ ამ ორი ქვეყნის გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად გასამართი მატჩების თარიღებზე. პირველი თამაში შედგება სიდნეიში 31 ოქტომბერს, საპასუხო — ბუენოს-აირესში. ამ შეხვედრის დღე კონკრეტულად დადგენილი არაა, იგი გაიმართება 14-დან 17 ნოემბრამდე. გამარჯვებული მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

შეგახსენებთ, რომ ავსტრალიის ნაკრებმა გაიმარჯვა ოკეანიის ზონის საკვალიფიკაციო ტურნირში, შემდეგ ორი შეხვედრის ჯამში დაამარცხა კონკაკაფ-ის ზონის გამარჯვებული კანადის გუნდი, ხოლო არგენტინელებმა მეორე ადგილი დაიკავეს სამხრეთ ამერიკის ზონის „ა" ჯგუფის შესარჩევ ტურნირში.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **დამთავრდა** რუსეთის თასის გათამაშება ფეხბურთში. პრიზს, უკვე მეორედ, დაეუფლა ვორონეჟის „ენერგია".

● **გაზეთებში** გაძოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ საფრანგეთის ქალაქ მარსელის „ოლიმპიკის" ხელმძღვანელობამ გაასაჩივრა უეფას დადგენილება და საქმე განსახილველად შეიტანა ბერნის სასამართლოში. მოგეხსენებათ, „მარსელს" ბრალად ედება საფრანგეთის ჩემპიონატში გუნდების მოსყიდვა. საკითხი უახლოეს ხანებში გაირკვევა.

● **იმ ამბავმა,** რომ კოლუმბიამ მოიპოვა 1994 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება, არნახული აჟიოტაჟი გამოიწვია ამ ქვეყანაში. კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში ზღვარგადასული ემოციებით შეხვდნენ ამ მოვლენას. რა თქმა უნდა, გადაჭარბებულ გრძნობებს მსხვერპლიც მოჰყვა: 20 კაცი დაიღუპა და 400-მდე საავადმყოფოში აღმოჩნდა.

ფეხბურთელი მეხმა იმსხვერპლა

ბელგრადი. იუგოსლავიის დედაქალაქის მახლობლად. სოფელ დრაგოევაჩში მიმდინარეობდა საფეხბურთო მატჩი. ცა მოღრუბლულიყო. ქუხდა, ელავდა, მაგრამ თამაში მაინც არ შეწყდარა.

და, აი, მოხდა უბედურება: შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე გაისმა გამაყრუებელი ქუხილი, გაიელვა მეხმა, ერთი ფეხბურთელი ადგილზე გაათავა, რამდენიმემ კი კონტუზია მიიღო. დაიღუპა დრაგიშ ბანიჩი, ორი შვილის მამა.

ქურდები თუ სუვენირების მოყვარულები?

პელეს ვილა, რომელიც სან-პაულუში მდებარეობს, ამას წინათ ღამით გაძარცვეს. ამის თაობაზე იტყობინება ფრანს პრესის სააგენტო.

მოიპარეს ვიდეომაგნიტოფონი და რადიოტელეფონი, რომლებიც საცურაო აუზთან ეწყო. ადგილობრივი პოლიცია ეძებს დამნაშავეებს, თუმცა დეტექტივები ვარაუდობენ, რომ ეს არის არა ქურდების, არამედ სუვენირების მოყვარულთა ნამოქმედარი.

სხვის ქმრებზე მონადირენი

ლოლიტა გადარია მათეუსის სევდიანმა თვალებმა...

გერმანელმა სპორტის სოციოლოგებმა დაადგინეს, რომ ფეხბურთელები ამ ქვეყანაში ადრეულ ასაკში ქორწინდებიან, მაგრამ, როგორც კი მოიხვეჭენ სახელს, ტოვებენ ცოლს და ახალ ოჯახს ქმნიან.

ერთი ასეთი დრამის მიზეზი გახდა ცნობილი ფეხბურთელი ტონი შუმახერი, რომელიც 20 წელი იყო პროფესიონალი ფეხბურთელი, 76 მატჩი ითამაშა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში და 16 წლიწადი სამაგალითო მეოჯახედ ითვლებოდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს...

როგორც ამბობენ, ეშმაკმა აურია ფავგზა ცნობილ მეკარეს, როცა იგი მიუნხენის ერთ-ერთი სასტუმროს მენეჯერს ჟასმინ ცელნერს შეხვდა. ჯერ იყო საქმიანი საუბარი, ურთიერთსიმპათიები, მერე რომანტიკული შეხვედრები და ბოლოს ინტიმური კავშირი, რომელსაც ძველი ოჯახის დანგრევა და ახლის შექმნა მოჰყვა.

ეს გახლდათ უდიდესი ტრავმა ოჯახის წევრებისთვის, მაგრამ მეუღლე მარლისმა, შვილებმა: ოლივერმა (16 წლის) და ვალესამ (11 წლის) განშორება ვაჟკაცურად გადაიტანეს. ოღონდ ექსმეუღლემ სინანულით აღნიშნა: „არ გამოვრიცხავ, კაცმა სიბერეში შეიყვაროს ქალი, მაგრამ ღირდა კი, ამის გამო ოჯახის დანგრევა?" აი, ჟასმინ ცელნერი კი საყვარლის საქციელით კმაყოფილი იყო: „იცით, რატომ ვცემ პატივს ტონის? ენერგიული და მიზანდასახული მამაკაცია!"

მეორედ დაჰკრეს საქორწინო ზარებმა გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრების კიდევ ერთი ვარსკვლავის ლოთარ მათეუსის პატივსაცემად. იგი თვალსა და ხელს შუა აცილა თავის ოჯახს შარშანდელმა თუ შარშანწინდელმა „მის შვეიცარიამ" — ლოლიტამ.

სილვია (მათეუსის პირველი ცოლი): „ათი წელი ბედნიერად და უზრუნველად ვცხოვრობდით. ჩვენი ქორწინების შედეგად ქვეყანას მოევლინა ორი მშვენიერი გოგონა: ალისა (6 წლის) და ვიოლა (4 წლის). ლოთარს შეეძლო სიცოცხლის ბოლომდე ბედნიერი ყოფილიყო, მაგრამ არ ისურვა. თავის თავს დააბრალოს ყველაფერი, ჩემს თავს კი მე თვითონ მოვუვლი". და მოუარა კიდეც — როგორც კი დარწმუნდა, რომ ქმარს ვერ იბრუნებდა, მაშინვე მოძებნა ახალი მეგობარი, ერთ-ერთი პოპულარული როკ-ჯგუფის გიტარისტი.

ლოლიტა: „მე გადამრია მისმა სევდიანმა თვალებმა და ბავშვურმა ხასიათმა. ასეთ მამაკაცს, ქვეყანა რომ გადააბრუნო, ვერსად იპოვნი".

მათეუსი ათ წელს თამაშობდა ნაკრებში. ამ ხნის მანძილზე მისი ყველაზე ახლო მეგობარი და პარტნიორი რუდი ფიოლერი იყო, „რუხი მგელი", რომელმაც ზუსტად გაიმეორა მეგობრის საქციელი. 1986 წელს შეირთო ანჟელა —ბანკის მოხელე. ორი წლის შემდეგ მათ გაუჩნდათ ლაურა, ცოტა მოგვიანებით კი მარკო. ამ დროისთვის ფიოლერი უკვე „რომას" ღირსებას იცავდა. იტალიაში თავის კოლეგასთან თომას ბერტოლდთან ერთად გაიცნო სამხრეთელი ლამაზმანი საბრინა ალუჩი.

— პირველი ვახშმის შემდეგ მივხვდით, რომ ჩვენ ერთმანეთისთვის ვიყავით დაბადებულნი — იგონებს საბრინა. რუდი საცხოვრებლად მასთან გადავიდა, მაგრამ არც ძველი სიყვარულის დავიწყება სურდა. იგი სისტემატურად ნახულობდა ანჟელას და ბავშვებს. მერე მარსელში დაბინავდა და ძველ ოჯახთან კონტაქტი გაწყდა...

ჟასმინ ცელნერს უყვარს ენერგიული მამაკაცები, ისეთები, როგორიც ტონი შუმახერია.



სილვია ბრწყინვალე ქალია — ამბობს მათეუსი — მაგრამ ლოლიტა (სურათზე) ჩემი საყვარელი გახლავთ.

უეფა და შემოდგომის სამწუხარო პარალელები

(დასასრული)

ღვევა იყო ფეხბურთელთა პროფესიულ ლიგასა და ჩვენს ორგანიზაციას შორის დადებული კონტრაქტის ერთ-ერთი მუხლისა, რომელსაც, ბუნებრივია, სათანადო რეაგირება უნდა მოჰყოლოდა.

ეს ისტორია დამთავრდა იმით, რომ სპირინთან დადებული ხელშეკრულება გაუქმდა და რუსეთის ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტის ვ. კოლოსკოვის წინადადებით დამნაშავე მსაჯი გამოიყვანეს საერთაშორისო არბიტრთა შემადგენლობიდან. სპირინს, რა თქმა უნდა, არ აეკრძალა მსაჯობა, მაგრამ ამიერიდან მას შეუძლია მუშაობა იქ, სადაც არ ხდება პროფესიული კონტრაქტების გაფორმება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რომელიმე დაბალ ლიგაში.

სპირინი დაისაჯა კანონის მთელი სიმკაცრით, „ტორინომ" კი გააგრძელა ბრძოლა უეფას თასისთვის. მეთექვსმეტედფინალში იტალიელები დამარცხდნენ შინ მოსკოვის „დინამოსთან", სტუმრად კი ფრედ ითამაშეს და ორი მატჩის ჯამში ასპარეზობას გამოეთიშნენ. ბრძოლა ტურნირში მისმა მეტოქემ, მოსკოვის „დინამომ" განაგრძო.

როგორც ხედავთ, უეფას საკმაოდ პრინციპული და უკომპრომისო პოზიცია უკავია კანონის ნებისმიერ დამრღვევთა მიმართ, რაც თავისთავად მისასალმებელია, თუმცა სასჯელის ზომა მსგავს შემთხვევებში მუდამ ადეკვატური არ არის, ყოველ შემთხვევაში, გარეშე თვალს ასე ეჩვენება.

რა გვაქვს მხედველობაში? იმ ინფორმაციით, რაც საყოველთაოდ გახდა ცნობილი, თბილისის „დინამოს" დაახლოებით ისეთივე შეცდომა აქვს დაშვებული „ლინფილდთან" საბედისწერო მატჩში, როგორიც დაუშვა იტალიის „ტორინომ" — შეხვედრის არბიტრს კომპენსაციის სახით გადასცა გარკვეული თანხა, რომელიც უმნიშვნელოდ აღემატებოდა დადგენილს. ნებსით თუ უნებლიეთ ანალოგიურ დანაშაულს სჩადის „ტორინოს" კლუბიც, რომელსაც გამოუცდელობას, ცხადია, ვერ დავწამებთ, მაგრამ შედეგი, საბოლოო ჯამში, განსხვავებული გამოვიდა: იტალიელთა შემთხვევაში ისჯება არბიტრი, კლუბი კი განაგრძობს ასპარეზობას, „დინამოს" შემთხვევაში ისჯება კლუბი.

წაგებული ბრძოლის შემდეგ მუშტების ქნევას აზრი არა აქვს, უფრო მეტიც, ამ შემთხვევამ ბევრი რამ უნდა გვასწავლოს. პროფესიულ სპორტს აქვს თავისი კანონები, ამ კანონებს კი ნიუანსები, რომელთა წაკითხვა და ცოდნა მხოლოდ იურიდიული სამსახურების პრეროგატივა უნდა იყოს. ასეთი სამსახური სჭირდება ყველა კლუბს, ყველა ორგანიზაციას, რომელიც დამოუკიდებელ ცხოვრებას აპირებს პროფესიულ სპორტში.

აქ შეიძლებოდა წერტილი დაგვესვა თხრობისთვის, რომ არა ერთი გახმაურებული სკანდალი, რომელიც აგრძელებს ამ თემას და ისევ უეფასთან, მისი სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებასთან და ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟული კლუბის, მარსელის „ოლიმპიკის" მომავალთან არის დაკავშირებული.

ერთი კვირის წინ ციურიხიდან გავრცელებულმა სენსაციურმა ცნობამ გააოგნა არა მარტო საფრანგეთი, არამედ მთელი საფეხბურთო სამყარო. უეფას ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ერთი წლით მოიხსნა გათამაშებიდან საფრანგეთის ხუთგზის ჩემპიონი და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის წლევანდელი მფლობელი „ოლიმპიკი". იმ ორშაბათს საფრანგეთში ყველა საშინაო და საგარეო ინფორმაციამ დაკარგა ფასი და მნიშვნელობა. რადიოსა და ტელევიზიაში ახალი ამბების სამსახურები სანახევროდ ამ ცნობის ანალიზით იყვნენ დაკავებული.

ეს საოცრად გაჭიანურებული ისტორია მაისის მიწურულს დაიწყო. ეხება იგი ეროვნული ჩემპიონატის ერთ მატჩს „ვალანსიენსა" და „ოლიმპიკს" შორის. შეხვედრის დამთავრების შემდეგ „ვალანსიენის" ერთ-ერთმა ფეხბურთელმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ მარსელის კლუბის ხელმძღვანელობა ჩემს მოსყიდვას ცდილობდაო, ძიებამ, რომელიც მაშინვე დაიწყო, მერე და მერე ერთობ ჰიპერტროფიული მასშტაბები მიიღო, რაც მნიშვნელოვანწილად მარსელის კლუბის პრეზიდენტის პიროვნებით არის გამოწვეული. „ოლიმპიკი", ფაქტობრივად, ცნობილი ფრანგი ბიზნესმენისა და პოლიტიკოსის ბერნარ ტაპის საკუთრებას წარმოადგენს.

სკანდალის დღიდან უეფა და ფიფა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციისგან მოითხოვენ საქმის დეტალურ შესწავლას და დამნაშავის დასჯას, მაგრამ ოფიციალურმა პარიზმა საფრანგეთის მართლმსაჯულების ზურგს უკან ამოფარება ამჯობინა (საკუთარ დასკვნებს), ამ უკანასკნელმა კი დღემდე ვერ დაასრულა საქმე.

ფეხბურთის საერთაშორისო ინსტანციებმა მოთმინება დაკარგეს. ფიფას პრეზიდენტმა ჟოაო ავილანჟმა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას კატეგორიულად მოსთხოვა 23 სექტემბრამდე სანქციის მიღება, უეფა კი არც დაელოდა ამ თარიღს და... მოხსნა „ოლიმპიკი" ევროპის ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული გათამაშებიდან. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ კლუბი ვეღარ იბრძოლებს ტიტულის შესანარჩუნებლად, ვეღარ გამოვა სუპერთასისა და საკონტინენტთაშორისო მატჩებში სათამაშოდ. ამასთან, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას სულ მოკლე დროში (ვგონებ, 48 საათის განმავლობაში) უნდა დაესახელებინა იმ კლუბის ვინაობა, რომელიც შეცვლიდა „ოლიმპიკს" 1993-94 წლების გათამაშებაში.

რა დასამალია და, უეფას განაჩენმა საფრანგეთში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. არავინ ფიქრობდა, რომ უეფა თავის ვერდიქტს ოფიციალური ძიების დამთავრებამდე გამოიტანდა. „ოლიმპიკისთვის" ტურნირიდან გამოთიშვა ფინანსურ კრახთან იქნება დაკავშირებული. კლუბი, ბუნებრივია, დათმობს სპორტულ პოზიციებს, მაგრამ, რაც ყველაზე მტკივნეული იქნება, შესაძლებელია „ოლიმპიკის" პრეზიდენტი ბერნარ ტაპი გადადგეს პოსტიდან.

ცნობილმა ფრანგმა პოლიტიკოსებმა და ფეხბურთის მოღვაწეებმა ერთსულოვნად დაგმეს უეფას გადაწყვეტილება. მაგრამ საქმე მხოლოდ ამით (ერთი კლუბის დასჯით) შესაძლოა არც დამთავრდეს. ფიფა, მაგალითად, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ემუქრება საფრანგეთს სრული იზოლაციით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ნაკრები მონაწილეობას ვერ მიიღებს უახლოესი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატს საფრანგეთმა უნდა უმასპინძლოს...

ერთი სიტყვით, უეფამ და ფიფამ ერთობლივად გამოაჩინეს კლანჭები. „ოლიმპიკის" დასჯა კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ავტორიტეტი ფეხბურთში არავითარი პრივილეგიით არ სარგებლობს.

თქვენი თანადგომის იმედად...

ნინო სალუქვაძემ წლეულს ყველა საერთაშორისო ასპარეზობაში გამოიჩინა თავი — მოიგო ევროპის ჩემპიონატი, მსოფლიო თასის გათამაშების რამდენიმე ეტაპი და, ბოლოს, მიუნხენში ამ თასის გათამაშების ფინალში ორივე იარაღით (პნევმატური და სპორტული პისტოლეტებით) შეჯიბრებებში იმარჯვა. კონტინენტის ჩემპიონატზე თანაგუნდელებმა მას შესანიშნავად აუბეს მხარი — სულ ცოტა დააკლდათ გუნდურ ჩათვლაში პრიზიორობამდე.

დასანანია, რომ ფედერაციას აღარ აქვს სახსრები, რათა ნინო და მისი თანაგუნდელი ქალები მიავლინოს ჟთენში, სადაც 21-25 ოქტომბერს მსოფლიოს საუკეთესო ჩუბინების მონაწილეობით ჩატარდება „მშვიდობისა და მეგობრობის თასის" VI გათამაშება პნევმატური იარაღით. არადა, ამ ასპარეზობის მოგების შემთხვევაში ნინო წლეულს მსოფლიოს საუკეთესო მსროლელის ტიტულსაც დაეპატრონება.

ფედერაცია მიმართავს ყველას — ფირმებს, კონცერნებს, ასოციაციებს, კომერციულ ბანკებს, ვისთვისაც ძვირფასია ქართული სპორტის ღირსება, გამოიჩინონ გულისხმიერება, ჩვენს ქალთა გუნდს გაუწიონ სპონსორობა — გაიღონ ტურნირში მონაწილეობისთვის საჭირო სახსრები.

სასროლო სპორტისა და მშვილდოსნობის ფედერაციის ტელეფონია **23-35-80.** ველით თქვენს თანადგომას.

◆

ყურადღება!

საფეხბურთო სკოლა **„ნორჩი დინამოელი"** აცხადებს 1984-85-86-87 წლებში დაბადებულ ბავშვთა მიღებას.

მიღება ყოველდღე სკოლის ბაზაზე (მუშტაიდის ბაღში) 9.00-საათიდან 17.00-საათამდე.

რა ხდება ქვეყანაზე

● **დღესდღეობით** ამერიკელ ბუკმეკერთა შორის თავისი საქმის საუკეთესო მცოდნედ ითვლება ვინმე ჯონ აველო, რომელსაც ორი კანტორა აქვს ლას-ვეგასში. მასვე ეკუთვნის წლის რეკორდი მოგებაში: ამერიკული ფეხბურთის ფინალში მან ფავორიტის („ბუფალო ბილზი") წინააღმდეგ დადო 200 ათასი დოლარი და მოიგო 2 მილიონზე მეტი. საინტერესოა, რომ ბუფალოს გუნდი სამჯერ ზედიზედ გავიდა ფინალში და სამჯერვე დამარცხდა. აველომ, როგორც ჩანს, ამ კანონზომიერებას აუღო ალღო.

● **ამერიკულ** პრესაში ბევრს წერენ ჩოგბურთელ ჯონ მაკინროუზე, როგორც ხელოვნების მცოდნესა და მხატვარზე, თუმცა მისი ნამუშევრები არავის უნახავს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ შარშან წლის ბოლოს მან მუშაობა დაიწყო ნიუ-იორკის ერთ-ერთ სალონში.

● **გერმანელი** ფეხბურთის ერთ-ერთი ცნობილი სპეციალისტის ერიხ რიბეკს მიაჩნია, რომ მთავარი ჩემპიონატის პაუზა უნდა შეივსოს სუნდესლიგის ზამთრის პირველობით (დარბაზში) მისი გეგმის თანახმად, სამ ქალაქში უნდა მოეწყოს ერთწრიანი ტურნირები უმაღლესი ლიგის 6-6 კლუბისა და ორ-ორი ადგილობრივი გუნდის მონაწილეობით. ამ მატჩების ხანგრძლივობა განსაზღვრულია 20 წუთით. მეორე ეტაპზე ექვსი ან რვა გუნდი ერთ ქალაქში გამართავს ტურნირს და გაითამაშებს სამ საპრიზო ადგილს.

● **42 წლის** ლარი ჰოლმსი თითქოს ახლო იყო მიზანთან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაამარცხა მძიმე წონის მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი რეი მერსერი. ამ გამარჯვებით მან მსოფლიოს მაშინდელ აბსოლუტურ ჩემპიონთან ევანდერ ჰოლიფილდთან ბრძოლის უფლება მოიპოვა. მოიპოვა, მაგრამ... დამარცხდა, თუმცა როგორც მიმომხილველები ამბობენ, საკმაოდ თანაბარ ბრძოლაში. ეს იყო ჰოლმსის მიერ წაგებული მეოთხე მატჩი მის კარიერაში. ჰოლიფილდის გარდა ექსჩემპიონს ორჯერ მოუგო მაიკლ სპინქსმა და ერთხელ მაიკ ტაისონმა. ახლა ლარი ჰოლმსი 43 წლისაა, მაგრამ განზრახვაზე — დაიბრუნოს ჩემპიონის ტიტული, ხელს არ იღებს.

● **პარიზ-დაკარის** რალის მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ჟილბერ საბინი გარეგნულად მშვიდობისმოყვარე და გულჩვილ ადამიანს ჰგავს, მის მიერ გაკვალული რალის გზებზე კი ხასიათის ეს თვისებები არ მჟღავნდება. პარიზ-დაკარი მეტწილად ადამიანის გამძლეობას უწყობს გამოცდას და, ამდენად, ერთ-ერთ ყველაზე რთულ და სახიფათო რბოლად ითვლება. წლეულს, მაგალითად, მეორე ეტაპზე საკონტროლო დროში მხოლოდ სამი ავტომობილისტი და ამდენივე მოტოციკლისტი ჩაეტია. ამ რბოლის დამთავრების შემდეგ საბინმა განაცხადა, რომ გაისისთვის ტრასას იგი ოდნავ გაართულებს.

● **ჩოგბურთში** აშშ-ის წლევანდელი ღია ჩემპიონატის ფინანსურ შედეგებს ალბათ მოგვიანებით დააჯამებენ, მაგრამ წინა ტურნირების გამოცდილების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ორი კვირის მანძილზე, რაც ამ შეჯიბრებისთვისაა განკუთვნილი, ფულადი მიმოქცევა ნიუ-იორკში 100 მილიონი დოლარით მატულობს, ეს კი, თავის მხრივ, ქალაქის ხაზინის შევსებას და მოსახლეობის დროებით დასაქმებას უწყობს ხელს. გარკვეულწილად მოგებაში არიან ჩოგბურთელებიც. პირველ წრეში თამაშისათვის (და არა გამარჯვებისთვის) ჩემპიონატის მონაწილეს ავტომატურად უხდიან 6 ათას დოლარს, ერთი გამარჯვებისთვის კი — 10 ათას დოლარს და ა. შ. ასე რომ, ნიუ-იორკის ღია ჩემპიონატით უკმაყოფილოს ვერ ნახავთ.

● **კანადის** ფირმამ „ბომბარდიემ" გამოუშვა თოვლის „მოტოროლერების" ახალი სარბოლო პარტია „სკი დოუ", რომელიც საათში 200-ზე მეტ კილომეტრს ავითარებს, ეს ახალი, მანქანა ჯერ კიდევ ზამთარში წარმატებით გამოსცადა 28 წლის ევროპის ორგზის და შვეციის ცხრაგზის ჩემპიონმა კრისტერ იუჰანსენმა.

სურათზე: კრისტერ იუჰანსენი საცდელი რბოლის დროს.

სპორტული ტელეეკრანი

„ოსტანკინო"

15 სექტემბერი. 11.00. ფეხბურთი. უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალური მატჩი. „დინამო" (მოსკოვი, რუსეთი) — „აინტრახტი" (ფრანკფურტი, გერმანია). წინა დღის შეხვედრის მეორე ტაიმის გამეორება. **21.55 — ფეხბურთი.** უეფას თასი. ოცდამეთორმეტედფინალი. „ბორუსია" (დორტმუნდი, გერმანია) — „სპარტაკი" (ვლადიკავკაზი, რუსეთი). გადაცემა გერმანიიდან. **0.25 ფეხბურთი.** თასების მფლობელთა თასის მეთექვსმეტედფინალის შეხვედრა. „ტორპედო" (მოსკოვი, რუსეთი) — „მაკაბი" (ხაიფა, ისრაელი). II ტაიმი. **16 სექტემბერი. 21.40 — „ლოტო-მილიონი". 0.30 —** ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე.

„როსია"

15 სექტემბერი. 22.25. სპორტული კარუსელი. **16 სექტემბერი. 22.35** ავტო და მოტოსპორტის სამყაროში. **23.05** ფეხბურთი. უეფას თასი: „იუვენტუსი" (ტურინი, იტალია) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი, რუსეთი). **17 სექტემბერი. 22.25. სპორტული კარუსელი.**

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე



საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

სოც. პოლიტიკური დისციპლინის კათედრაზე:

1. კათედრის დოცენტი, 1 ერთეული — ფილოსოფიის სპეციალობით, მეცნ. კანდიდატი;

2. კათედრის დოცენტი, 1 ერთეული — სპორტის სოციოლოგიის სპეციალობით, მეცნ. კანდიდატი;

3. კათედრის უფროსი მასწავლებელი, 1 ერთეული — საქართველოს ისტორიის სპეციალობით.

ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის კათედრაზე:

1. კათედრის დოცენტი, 1 ერთეული — ბიოქიმიის სპეციალობით, მეცნ. კანდიდატი.

მძლეოსნობის კათედრაზე:

1. კათედრის უფროსი მასწავლებელი, 1 ერთეული.

ტანვარჯიშის კათედრაზე:

1. კათედრის დოცენტი, 0,5 ერთეული — მხატვრული ტანვარჯიშის სპეციალობით, მეცნ. კანდიდატი.

სწყალოსნო სპორტის კათედრაზე:

1. კათედრის გამგის 1 ერთეული — პროფესორი.

2 კათედრის მასწავლებელი, 1 ერთეული — წყალბურთის სპეციალობით.

ჭიდაობის, კრივისა და ძალოსნობის კათედრაზე:

1. კათედრის მასწავლებელი, 1 ერთეული — კრივის სპეციალობით.

მრავალჭიდობისა და სროლის სპეციალობით:

1. კათედრის დოცენტი, 1 ერთეული — ტყვიის სროლის სპეციალობით, მეცნ. კანდიდატი.

კონკურსის ვადაა 1 თვე დღიდან გამოცხადებისა. მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 49.
ტელ: 23-09-02.

საქართველოს სპორტკომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კომიტეტის სამშენებლო სამმართველოს ყოფილი უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული მშენებელი

ბიჭი ბილანიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380096, ვ. კოსტავას 14. ● ტელეფონი 99-58-14 ● ინდექსი 66435 ИНДЕКС ● დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში". ფასი 100 კაპ.